№ 25 თებერვალი 1, პარასკევი 1891 თებერვალი 1, პარასკევი № 25

გაზეთი ღირს

| თთვე | მანა. | კ. | თთ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი „ივერია“ პირველ თებერვლიდგან წლის დამლევამდე ღირს 9 მ. 50 კ.

კნეინა ლიუბოვ-პეტრეს ასული ერისთავისა და კნიაჟნა ქეთევან დიმიტრის ასული ერისთავისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ ორშაბათს 4 თებერვალს, გარდაცვლილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის თ. ელიზბარ დიმიტრის ძის ერისთავის სულის მოსაგონებლად დიდუბის ეკკლესიაში, დილის 10 საათზედ. (2—1)

ა. ი. ფიშერის ცირკი

შაბათს, 2 თებერვალს, გამართული იქნება სადღესასწაულო წარმოდგენა სამს გაყოფილებად მთელის დასისა და კორდებალეტის მონაწილეობით. დასასრულ, დიდის მზადების შემდეგ, პირველად ითამაშებ; საუცხოვო ისტორიულ პანტომიმას—ბრძოლა რუსებისა უბარდოელებთან. ამ პანტომიმაში 100 კაცი და 40-მდე ცხენი მიიღებს მონაწილეობას.

ყოველ დღე გმართავთ წარმოდგენას ახალ-ახალის პროგრამით. კვირა და უქმე დღეობით ორ-ორი წარმოდგენა გვაქვს ხოლმე, დღისით ბავშვებისათვის მეტად დაკლებულის ფასით და სადამოობით.

ვისაც ჰსურს ცხენოსნობის სწავლა, პირობების შეტყობა შეუძლიანთ ცირკის რეჟისორ ბ-ნ ენიამინთან. იქვე მიიღებენ ცხენებს გასაწვრთნელად.

დღის წარმოდგენა იქნება ნაშუადღევის 2 საათზედ, საღამოსი—8 საათზედ.

მთავრობა ტფილისის საქალაქო მიხეილის სახელობის სასწავლებლისა უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვისაც საინტერესოდ აჩნია საპროფესიონალო განათლება და მის წარმატების საქმე, მობრძანდეს და დაესწროს წლიურს აქტსა სასწავლებლისას 3 თებერვალს ნაშუადღევის პირველ საათზე. (2—1)

## ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ ტფილისიდგან მრავალი საქონელი გაზავნეს ფოთსა და ბათუმში, რადგანაც ოდესიდგან დეპეშით ამბავი მოვიდა, რომ ზღვა განთავისუფლდა ყინულისაგან და გემები თავისუფლად დიარებიანო.

*** პროფესორს კონდაკოვს საქართველოს ზოგიერთის ძველის ნაშთების, ხატებისა და სხვა-და-სხვა ნივთების აღწერა, შედგენილი დ. ბაქრაძის მიერ, ახლა ცალკე წიგნად დაუბეჭდია. ეს წიგნი საყურადღებო წიგნია და სურათებით არის შემკული, ღირს მანეთ ნახევარი. ტფილისში ჯერ არ მოსულა გასასყიდად. ჩვენ ვნახეთ ამ წიგნის ის ეგზემპლიარი, რომელიც განსვენებულ დ. ბაქრაძის სახლობას მოუვიდა.

*** ათს თებერვლისთვის დანიშნულია წლის წირვა განსვენებულის დიმიტრი ბაქრაძის სულის მოსახსენებლად.

*** 31 იანვარს, პუშკინის ქუჩაზე, ჯანჯულაზოვის სახლებში, ქართულის ტანისამოსის მკერვალს ვახტანგ გრიგოლის ძის ერგემლიძის სახელოსნოში მომუშავეთაგანს სერაფიონ მიხეილის ძეს ყაველაშვილს ჩაუდენია შემდეგი ქურდობა: ღამის ორ საათზე, როდესაც სძინებიათ ქარგლებს, ამდგარა, გაუღია შკაფი, გამოუღია ორი ყულაბი შეგირდების ნაგროვის ფულისა, არა ნაკლებ 40 მანათისა, აუგლეჯია თავსახურავი დანით, რომლის წვერიც ყულაბის სახურავშია დარჩენილი და დაუცარიელებია ორივე. შემდეგ ჩამოულაგებია კედლიდან: 1 ჩოხა, ღირებული 15 მანეთად, სამი ახალუხი 18 მანეთისა, 1 ჩაბალახი 6 მანეთისა და ორი შალი 20 მანეთისა. სულ ფულიან - ტანისამოსიანად 99 მანეთისა. ეს ამბავი ქარხნის პატრონმა გამოუცხადა მეხუთე განყოფილების ბოქაულს, მაგრამ ქურდი ჯერ-ჯერობით არ აღმოუჩენიათ.

*** ბათუმი: 26 იანვარს აქ გაჰმართეს ქართულის სცენის მოყვარულთ წარმოდგენა კლუბულეთში დასაარსებელის ქართულის სკოლის ფონდის სასარგებლოდ. წარმოადგინეს ზ. ანტონოვის კომედია: „მე მინდა კნეინა გავხდე“ და ვოდევილი ა. მოჩხუბარიძისა: „დილა ქორწილის შემდეგ“. შემოსავალი წარმოდგენისა, როგორც ამბობენ, ორმოც-სამოც თუმნამდე იქმნებოდა.

*** მუხრანი: ჩვენში აფთიაქის გასამართავად ერთი ახალგაზდა კაცი ამოვიდა და დაათვალიერა აქაურობა. ამ კაცს აფთიაქის გამართვა უნდა, ამისთვის შესაფერი ცოდნაც აქვს მიღებული, მაგრამ სახლის უქონლობის გამო საქმე დაბრკოლდა. მთელს მუხრანში ერთ სახლსაც ვერ ჰნახავთ, რომ ნესტიანი არ იყოს; წამლებისთვის-კი მშრალი სადგურია საჭირო. მუხრანში-კი ძლიერ დიდი საჭიროება აფთიაქი, რადგანაც აქ ციებიანი ადგილია და ზაფხულში ციებ-ცხელებით ბევრნი იხოცებიან. სოფლის მცხოვრებთ რიცხვი 400 კომლზედ მეტია.

*** გორი. ჩემი მტერიც ნუ შემოიყვანოს გორში ღამე: აქაურობა სავსეა ძაღლებითა, რომლებიც გამვლელ-გამომვლელს ჰგლეჯენ, ტანისამოსს ახევენ და აშინებენ; სწორედ ძაღლების ქალაქია; კაცის თავზედ სამი ძაღლი მოვა, რომ გამოსთვალოს ადამიანმა. აპირობენ ეხლა, რომ დიდ ქუჩას ძაღლთა ქუჩა დაარქვან. ვსთხოვთ, ვისაც რიგია, მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება და დაგვიხსნას მუდმივის განსაცდელისაგან.

*** ქართლი: ქართლი ვერ დაემდურება წლევანდელს ზამთარს; არ იყო აურზაურიანი, მაგრამ განუწყვეტელმა ქვენა ქარმა, რომელიც ზამთარში საშინლად ცივია და ზაფხულში ცხელი, თავი აღარ დაგვანება. ეშინიანთ, რომ ხვნილი არ გაახმოს და ვაზი არ დააზიანოს. ამ საშინელმა ქარებმა ჯეჯილები სულ გადათხარა და სილა წააყარა.

*** „Тиф. Лист.“-ს შეუტყვია, რომ ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოსთან მომავალს მარტის თთვეში უნდა შესდგეს სამთო კომისია, რომელსაც მინდობილი ექნება ტფილისის გარშემო მთებზე გააშენოს ტყე. ეს კომისია ამ საქმეს აპრილში შეუდგება. ამ ხანად-კი სატყეო განყოფილებაში ლაპარაკია იმის შესახებ, თუ საიდგან უფრო ადვილად შესაძლოა წყაროს გამოყვანა თელეთის, მთაწმიდისა და მახათის მთების მოსარწყავად, ხოლო რაც შეეხება სოლოლაკის მთას, ამ მთაზე ტყის გაშენება ადვილად მოსახერხებელია, რადგან ეს მთა კოჯორის წყაროებით მოირწყვება.

*** ამ დღეებში ტფილისის ქალაქის საბჭოს მიართვა თხოვნა კნ. არღუთინსკი-დოლგორუკისამ, რომელსაც, როგორც მკითხველთ უწყიან, ტფილისში აქვს გამართული „იაფი წიგნთ-საცავი და სამკითხველო,“ სადაც, მრავალ სხვა-და-სხვა წიგნს გარდა, მოიპოვება რუსული, ქართული და სომხური ჟურნალ-გაზეთები. ეს წიგნთ-საცავი უწინ საბავშვო იყო და კნიაჟნა არღუთინსკიმ მთავრობის ნება-დართვით ეხლანდელ წიგნთ-საცავად გადააკეთა. წიგნების კითხვისათვის ამ წიგნთ-საცავში ახდევინებენ ერთს აბაზს თთვეში, ხოლო ჟურნალ-გაზეთებისათვის 2 კაპ. ამიტომაც არის, რომ ამ წიგნთ-საცავის წევრთა უმრავლესობას შეადგენს ღარიბი და ხელ-მოკლე ხალხი, რომელიც გირაოს შეტანისაგან თავისუფალია. წარსულის წლის ნოემბერში კნიაჟნა არღუთინსკიმ თავის წიგნთ-საცავის გასამდიდრებლად იყიდა მორიჯისაგან წიგნთ-საცავი 1,300 მან. ეს ფული არღუთინსკიმ ორის წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილად უნდა მისცეს მორიჯის. ამ ხარჯს გარდა, რასაკვირველია, წიგნთ-საცავს ბევრი სხვა ხარჯიცა აქვს, რაიცა სულს უხუთავს მისს არსებობას. ყველა ამის გამო წიგნთ-საცავის პატრონმა, რომელსაც ამ საქმეში არავითარი სხვა აზრი არა აქვს, გარდა საზოგადო სიკეთისა, მიჰმართა ქალაქის საბჭოს და სთხოვა, წიგნთ-საცავის და სამკითხველოსათვის დამითმეთ ერთ-ერთი ქალაქის საკუთარ მაღაზიათაგანი შემდეგის პირობით: 1) ყოველ ხარჯს წიგნთ-საცავის შენახვისას, გარდა სადგურის ხარჯისა, თითონ მე ვიკისრებ; 2) დანიშნულ დროს წარვუდგენ საბჭოს შემოსავალ - გასავლის ანგარიშს და აგრეთვე ანგარიშს იმისას, თუ ვინ და რამდენი დადის წიგნთ-საცავში ხელობისა, წლოვანებისა და ეროვნობის აღნიშვნით; 3) თუ საბჭო ისურვებს, წიგნთ-საცავს დაერქმევა „ქალაქის სახალხო წიგნთ-საკითხავი;“ 4) ყველა რუსული, ქართული და სომხური წიგნი 7,000 ცალამდე ზოგიერთების გამოკლებით ჩემ სიკვდილს შემდეგ გახდება ქალაქის საკუთრება.

## ფელეტონი

### ფშაველი და ფშავლები

(ეთნოგრაფიული მიმოხილვა)

ცოლ-ქმრობა და გადედაკაცის ურთიერთობა ფშავში.

(შემდეგ*)

ჩვენს დროში ქალ ვაჟს თუმცა მეტი თავისუფლება მიეცა, რომ განთავისუფლებულიყო „პატრონის“ ზრუნვისაგან, თავის მომავალ ბედისათვის თითონ ეზრუნა დაამოერჩია „თავის გუნების“ მეუღლე, მაგრამ ფშაველი ხშირად არც ამითია კმაყოფილი, რადგანაც, მისის აზრით, ამ ნაირმა თავისუფლებამ არამც თუ განამტკიცა ფშაველის ოჯახში მეუღლური კავშირი, პირ-იქით, შეარყია და ძირს უთხრის საოჯახო ბედნიერებას. რ—ობაო, იმდურება ფშაველი, ეხლა ქალის დროა, რაკი გათხოვების საქმე იმის ნებაზედ დამოკიდებულიც გახდა, ალეირი წამოიყარა და ვინც არა მგონია, ყველა ქმარს სწუნობს და გაურბის. ქმარს-კი ამაზედ არამც თუ ხელი ვერ გაუნძრევია დედაკაცის თავგასულობის ასალაგმავად და იმის შინ დასაბრუნებლად, ხმაც ვერ ამოუღიაო; წახდა დრო და დაეცა ზნეობაო, თორემ წინად სად გაგონილა, რომ ფშაველს ნათხოვი ან შინ მიყვანილი ცოლი გაჰქცეოდეს, ქმარი დაეწუნოს და სხვასთან დაუსჯელად ეცხოვროსო. ეხლა-კი ამ ნაირი მაგალითი მრავალია და ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა, ასე რომ ცოლისაგან დაწუნებული მამაკაცი თავისის დამცირების ფიქრით თავს არც-კი იტკიებს, მაშინვე სხვა ცოლის ძებნას შეუდგებაო.

ახალგაზდათ ქორწინების ასაკად ფშაველს 19-დგან 25-წლამდე მიაჩნია, თუმცა მაგალითები ამ ხანზე ადრე და გვიან ქორწინებისაც ფშავში იშვიათი არ არის. როდესაც ქალის პატრონი „ლიშანს დაიჭერს“, მას შემდეგ იწყება ქალისა და ვაჟის საგვარეულოთა შორის ნათესავური კავშირი, „მძახლობა“. დანიშნული ქალი მამის სახლში რჩება 1—2 წლამდე ჯვარ-დაუწერელი. ამ ხნის განმავლობაში ვაჟის ნათესავები მოვალები არიან სარძლო დრო-გამოშვებითა ნახონ და მიუტანონ ხოლმე საჩუქრად ფული, აბრეშუმის სარტყელი, საჩიქილე და სხვ. რა-კი ქალს დანიშნავენ, „გაათხოვებენ“, მისი დედ-მამა შეუდგება მზითევის მზადების თავდარიგს, თუ გათხოვებამდე მომზადებული არა აქვს. ქალმა მამის სახლში უნდა მოიმზადოს „მზითვად“ 6—12 ხელი ტანისამოსი—პერანგები, ახალუხები, კაბები, ჩიქილები, ფაფანაგები და სხვ. ფარდაგი 1—2, ნაბდები 2—3, ამდენივე ხურჯინი და ბალიში, თუ მდიდარის კაცის ქალია, საბანი და ლეიბი. ფარდაგები, ფაფანაგები, ხურჯინები და ნაბდები ქალს თავის ხელით გაკეთებული უნდა ჰქონდეს, იმათი ყიდვა სირცხვილია და, ფშაველის აზრით, იმას მოასწავებს, რომ ქალი ზარმაცი და „უხელთური“ ყოფილა, ხელ-საქმე არა სცოდნია და თითონ გაკეთება რომ არ შესძლებია, სხვისაგან ყიდვას გამხდარა იძულებულიო. დანიშნულმა ქალმა ყველა მნახველსა და საჩუქარის მიმტანს თითო წყვილი ჭრელი წინდა უნდა აჩუქოს თავისივე მოქსოვილი. ხურჯინები, ფარდაგები და წინდები კარგის ღირსებისა და კარგად შეღებილის ფერადისა უნდა იყოს, რადგანაც ამ საგნებს ქალის ქმრეულთ „მტერ-მოკეთენი“ სჩხრეკავენ და თითონ ქალის „სიავ-კარგესაც“ მისის ხელით ნაკეთებ საქმის ღირსებაზედ აფუძნებენ, მეტადრე სოფლის «ოსტატი» დედაკაცები.

სასიძოს ოჯახი დანიშვნის შემდეგ კრებულად ინახულებს სარძლოს და „მიუტანს სახლის სანახავს“. ამ შემთხვევისათვის ოჯახი მიიწვევს ხოლმე ყველა თავის ნათესავს, მეზობელსა და ოჯახის მეგობარს, ვისაც-კი წასვლა შეუძლიან, სქესისა და წლოვანების განურჩევლად. მიწვეულები თავ-და პირველად სასიძოს სახლში მოიყრიან თავს, „ახსენებენ ღმერთსა“ და იქიდგან „ჯარად“ წავლენ სარძლოს მამის სახლში. ოჯახი თან წაიღებს ექვს ჩაფ ლუდს, გამომცხვარს პურსა და შეიდ-რვა თუნგს არაყს, აგრეთვე წაიყვანენ ორ ცხვარს. ამას გარდა ყველა მათგანს მიაქვს დანიშნულ ქალისათვის საჩუქრად ფული, არა ნაკლებ თითო მანეთისა მამაკაცებს, ხოლო დედა-

*) იხ. „ივერია“, № 22 და 24

ცხადია, რომ უკეთესს დროსა და პირობას „სახალხო წიგნთ-საცავის“ დაარსებისათვის ქალაქის საბჭო ვეღარ იშოვის. ამიტომაც, იმედია, ახალი საბჭო შეიწყნარებს კნიაჟნა არგუთინსკის თხოვნას („Нов. Обоз.“).

*** ამ თვის 29, რიყეზე, ნეროდინის ეტლის საკეთებელ ქარხანაში, ვანო ჩანდაკოვსა და გლახა გოდერძოვს ერთმანეთ შორის ჩხუბი მოსვლიათ. ჩანდაკოვმა ჯოხი დასთხლიშა გოდერძოვს და თავი გაუტეხა. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს.

*** იანვრის 30, დილის 6 საათზე, მეჯვრიხევის მცხოვრებელს კონსტანტინე გობახიძეს ნემცების ქუჩაზე ლია სადგურიდგან მოჰპარეს ტანისამოსი და სხვა-და-სხვა ნივთეულობა 90 მანათისა.

## ახალი წიგნი სუტნერისა

დრეზდენში დაიბეჭდა გერმანულს ენაზედ ახალი წიგნი სუტნერისა, სახელწოდებით „ძენი კავკასიისანი“ (Kinder des Kaukasus von G. A. Suttner). ამ წიგნში მოთავსებულია შემდეგი მოთხრობანი:

1. Mein Freund Guqja (ჩემი მეგობარი გუჯა.)
2. Die Nachharn (მეზობლები).
3. Herr Gregor (ბატონი გრიგოლ).
4. Arme Rose (საწყალი ვარდი).
5. Ketevan (ქეთევან).
6. Margaliti (მარგალიტა).

ყველა ეს მოთხრობა, გარდა ერთისა, სახელდობრ „ბატონი გრიგოლ“-ისა, სურათებია ქართველთ ცხოვრებისა და, როგორც სჩანს წინასიტყვაობიდამ, პირველი ტომია იმ მოთხრობათა, რომლის დაბეჭდვაც ჰსურს შემდეგ ავტორს, რათა გააცნოს გერმანელობას სხვა-და-სხვა ტიპები ქართველებისა.

პირველ მოთხრობაში „ჩემი მეგობარი გუჯა“ აწერილია ცხოვრება ყმაწვილის ქართველის კაცისა, ტომით მეგრელისა, რომელიც ექვსს წელიწადს ყოფილა საზღვარ-გარედ; შემდეგ დაბრუნდება სამშობლოში, აქ ჰხედავს იმ ქალს, რომელიც შეუყვარდა საზღვარ-გარედ წასვლამდე და ჰგრძნობს, რომ მისი სიყვარული იმ ქალის მიმართ კვლავ განცხოველდა. ქალი ქვრივია. ყმაწვილი მეტად მორცხვი, იმდენად მორცხვი, რომ ვერა ჰბედავს თავისი სიყვარული გამოუცხადოს. და აი ვიდრე ის ამ ფიქრსა და ჭოჭმანშია, ქალი მეორედა თხოვდება. ყმაწვილის კაცის ბიძის სახლში სცხოვრობს ერთი ახალგაზდა ქალი, სახელად ტასო, მისის ბიძის გაზრდილი. გუჯამ იცის, რომ ამ ქალს ეუყვარევარო, მაგრამ არ უნდა შეირთოს, რადგან აზნაურის ქალი არ არის. ამავე დროს ყმაწვილი კაცი გართულია ერთის თხზულების წერაში. ამ საქმემ გადაავიწყა სრულიად პირველი სიყვარული და მხოლოდ მაშინ-ღა აგონდება მეორედ გათხოვილი ქალი და მისი სიყვარული, როცა ხელ-მეორედ დაქვრივდება. მაგრამ ამ ხანადაც ვერ მოახერხა მისი შერთვა, რადგან როცა გადასწყვიტა და წავიდა ტფილისს მის სანახავად, მეორედ დაქვრივებული ქალი უკვე სხვას დაენიშნა. თავისის ბიძის გაზრდილი, ლამაზი ტასოც მიათხოვეს ამ დროს ვილაც ბებერს კაცს, რომელიც მალე გარდაიცვალა და ახლა-კი გაჰბედა, როგორც იყო, გუჯამ და შეირთო ყმაწვილი ქვრივი, თუმცა წინად არ უნდოდა მისი ცოლად შერთვა, აზნაურიშვილის ქალი არ არისო. გუჯამ ტასო ორის წლით ტფილისში გაჰგზავნა ნათესავებთან. იქ ტასომ მიიღო რიგიანი სწავლა და ფრანგულიც მშვენივრად შეითვისა. ჯვარის წერის შემდეგ ცოლ-ქმარნი გაემგზავრნენ გერმანიაში. კარლსბადის ქალაქს შეხვდება მოთხრობის ავტორს, რომელიც აღტაცებაში მოდის, მშვენივრად აღზრდილს და განათლებულს ქართველს ქალს რომ ჰხედავს. ავტორს უხარიან ისიც, რომ მის მეგობარს გადაუწყვეტია მისი ცოლად შერთვა. უმთავრესი თვისება მოთხრობის გმირისა უხასიათობაა და რაღაც დაბადებითვე თან-დაყოლილი სიყვარული თავის თანამემამულეთა პირვანდელის ცხოვრებისა. თუმცა საკმაოდ განათლებული კაცია და ევროპიული, ბევრად უკეთესი ჩვეულებანი მარტო გაგონებით არ იცის, მაგრამ მაინც გული და სული ისევ თავისის ხალხის ჩვეულებისაკენა აქვს. ამიტომ ხშირად უწვრთნელსა და უზრდელს მეგრელს უფრო ჰგავს, ვიდრე ევროპიულად განათლებულს და აღზრდილს კაცს. მოთხრობაში საკმაოდ მართალი სურათებია ქართველ მემამულეთა და თავად-აზნაურობის ყოფა-ცხოვრებისა.

მეორე მოთხრობა „მეზობლები“ ამბავია ორის მეგრელ აზნაურიშვილის დაიდარაბისა.

მესამე მოთხრობა «ბატონი გრიგოლ» ძალიან კარგი სურათია ტფილისის სომეხთ ვაჭრების ცხოვრებისა. ავტორი აგვიწერს ამ ხალხის მრავალ-გვარ ნაკლულევანებას, მაგრამ ამასთანავე ბევრს მათს კარგს თვისებასაც გვიჩვენებს. მაგალითად, ცნობის-მოყვარენი არიანო, განათლება უყვართ და გულ-მოდგინედ ეტანებიან ევროპიულს ცივილიზაციასაო. ავტორი დიდად აქებს აგრეთვე სომხის ქალებს და არწმუნებს მკითხველს, რომ სომხის ქალები ცნობის-მოყვარენი არიან, კარგი დიასახლისნი და გულ-მოდგინედ სწავლობენ ევროპიულს ენებსაო.

მეოთხე მოთხრობა—„საწყალი ვარდი“ მშვენიერი ამბავია ერთის საცოდავის ობოლის ქალისა.

ბევრია ძალიან სურათები ქართველთ ყოფა-ცხოვრებისა მოთხრობაში „ქეთევან“. ამ მოთხრობის ამბავი სწარმოებს ზუგდიდს ახლო-მახლო. ამავე მოთხრობაშია თარგმანი ორის მეგრულის სახალხო ლექსისა: ერთია „მადო სქუამი ცირასი“ და მეორე—„ქოული,—მა დომგტალენქო“. ეს ლექსები პროზით არის თარგმნილი, რადგან, როგორც ეტყობა, ავტორს არ ეხერხება ლექსადვე თარგმნა ლექსისა.

ბოლო ამბავი „მარგალიტა“ ძალიან ლამაზი და ყველა სხვა მოთხრობაზე უფრო პოეტური ამბავია.

საზოგადოდ ეს წიგნი ხასიამოვნო საკითხავია. ავტორს ეტყობა, რომ იცის ქართველების ცხოვრება, თუმცა საკმაოდ კარგად არ იცნობს ქართველებს და ამიტომ პსიხოლოგიურის მხრით ზოგიერთი მისი მოთხრობა მართალი არ არის. მიუხედავად ამისა წიგნს მცირე სალიტერატურო მნიშვნელობა არა აქვს და მით უფრო სისიამოვნოა მისი დაბეჭდვა, რომ ამ წიგნის შემწეობით ევროპიელნი ცოტად თუ ბევრად გაიცნობენ ქართველებსა და მათს ყოფა-ცხოვრებას.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ეხლა, არამც თუ რუსეთში, ჩვენს პაწია საქართველოშიაც დიდი ყურადღება აქვს მიქცეული წიგნთ-საცავების დაარსებას. ყმაწვილი სოფლის სასწავლებელში ორ-სამს წელიწადსა რჩება, რის წვალებითა და ვაი-ვაგლახით ქართულს წერა-კითხვასა სწავლობს, თავს ანებებს სასწავლებელს და ნასწავლიც ავიწყდება, რადგან რამდენიმე წელიწადი გადის ისე, რომ წიგნი არ აიღოს ხელში. ამის ასაცილებლად, რასაკვირველია, საჭიროა, რომ წერა-კითხვის მცოდნე წიგნის კითხვის საშუალებას არ იყოს მოკლებული და ყოველთვის ხელთა ჰქონდეს, რომ ნასწავლი არ დაივიწყოს. ეს ჭეშმარიტება ვგონებთ კარგად შეიგნეს ამ ჟამად ჩვენს დაბა-სოფლებში და დიდის ხალისითაც აარსებენ ალაგ-ალაგ ასეთს წიგნთ-საცავებს. დღეს სოფლის წიგნთ-საცავების შესახებ პაწია, მაგრამ საყურადღებო, წერილია დაბეჭდილი გაზ. „Новое Время“-ში. ამ გაზეთის სიტყვით, რუსეთში

> ამ ბოლოს დროს თვით გლეხებმა მოჰკიდეს ხელი წიგნთ-საცავების დაარსების საქმეს. ყველა მათგანი სულ სხვა-და-სხვა მიზეზს ასახელებს თავის ასეთის საქციელისას. ერთნი ამბობენ, რომ წიგნები ჩვენთვის საჭირო, რათა პრაქტიკული ცოდნა მოვიპოვოთ და აგრეთვე შევიტყოთ, როგორ ვიცხოვროთ, რომ სული ჩვენი დავიხსნათ იმ საიქიოს ტანჯვისა და წვალებისაგანაო. მეორენი გაიძახიან, რომ ლოთობა და ზნეობის დაცემა გონებრივის შრომის უქონლობის გამოა გახშირებული და ზამთარში წიგნების კითხვით იქნება ვუშველოთ ამ სატკივარსაო.

წარსულს წელს ს.-პეტერბურგის სწავლა-განათლების კომიტეტმა წიგნთ-საცავების შესახებ მასალას მოუყარა თავი, სოფლის მასწავლებლების დახმარებით, და ეს მასალა გასარჩევად თავისს წევრს ვ. ვ. დეველს მიანდო. დეველმა განიხილა და გამოარკვია, რომ სასწავლებლების გამრავლებასთან წიგნთ-საცავებიც მრავლდება; სადაც უფრო დიდხანს არის სასწავლებელი დაწესებული, იქ უფრო დიდი წყურვილი და საჭიროება წიგნთ-საცავის დაარსებისაო. ფრიად საყურადღებოა ისტორია სოფ. მარკოვსკის (ხარკოვის გუბერნიასა და ლებედინის მაზრაშია) წიგნთ-საცავის დაარსებისა:

> ჯერ გლეხებმა მიჰმართეს სოფლის მასწავლებელს, რომ „კარგი წიგნი რამ მოგვეცით საკითხავადაო“. მასწავლებელმა უარი არ უთხრა და აძლევდა წიგნებს საკითხავად სასწავლებლის წიგნთ-საცავიდგან, მაგრამ ეს წიგნები ჩქარა გადაიკითხეს სულ ერთიანად და მასწავლებელმა მეასედის თხოვნაც ვერ აასრულა ჯეროვანად. მაშინ სასწავლებლის მზრუნველმა სთქვა, რომ თვით სოფელშივე დაარსდეს წიგნთ-საცავიო. რამდენჯერმე შეიკრიბა სოფლის საზოგადოება და ბოლოს 72 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 12-სა გადასწყვიტა, რომ ამ წიგნთ-საცავისათვის 10 მან. გადავდოთ და მამასახლისს დავავალოთ, გვიშუამდგომლოს სხვა-და-სხვა დაწესებულების წინაშე, რომ წიგნები შემოსწირონ ხოლმე ჩვენს წიგნთ-საცავსაო. ამ შუამდგომლობამ გასჭრა და პეტერბურგისა და ხარკოვის სწავლა-განათლების კომიტეტმა ასობით გამოგზავნეს წიგნები. საერო განათლების სამინისტრო 125 მანეთით დაეხმარა ამ საქმეს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ როცა წიგნთ-საცავმა მოქმედება დაიწყო, უკვე 2,200 ეგზემპლიარამდე წიგნი ჰქონდა სხვა-და-სხვა შინაარსისა და პირველსავე თვეში 1,000-მდე მკითხველი ჰყავდა, მეოთხედი ნაწილი 12 საზოგადოების მკვიდრთაო.

იმავ „Новое Время“-ს წერილში ფრიად საინტერესო ცნობებია დაბეჭდილი იმის შესახებ, თუ რა და რა შინაარსის წიგნს რამდენი მკითხველი ჰყავს. ამ ცნობებიდგანა სჩანს, რომ

> მოთხრობებსა და რომანებს ასში 50 კაცი კითხულობს, სასულიერო და ზნეობრივ შინაარსის წიგნებს—22, ისტორიულს—15, სამეცნიეროს—13. მოხუცებულნი და შუა ხანს მიღწეულნი უფრო სასულიერო შინაარსისა და ისეთს წიგნებს კითხულობენ, სადაც სხვა-და-სხვა გამოსადეგი ცნობანია დაბეჭდილი, ახალგაზდობა-კი უფრო ისტორიულს მოთხრობებსა და ბელეტრისტულს ნაწარმოებს ეტანება.

ეს ცნობა აშკარად ამტკიცებს, რომ არც გლეხ-კაცობა არის მოკლებული ხალისს წიგნების კითხვისა და სხვა-და-სხვა გამოსადეგ და ცხოვრებისათვის საჭირო ცნობათა მოპოვებისას. ასეა არამც თუ მარტო რუსეთში, არამედ საქართველოშიაც ამ უკანასკნელს ხანებში რამდენიმე სასოფლო წიგნთ-საცავი იქმნა დაარსებული. სოფლის მეთაურმა და გონიერმა კაცებმა უნდა შეიგნონ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს წიგნთ-საცავს, თვით სასწავლებელსაც-კი ეკარგება აზრი, თუ წიგნთ-საცავი არ არის, და ყოველ ღონისძიებას უნდა ჰხმარობდნენ, რომ ყოველს სოფელში, სადაც-კი ორი-სამი წელიწადია სასწავლებელი არსებობს, იქვე წიგნთ-საცავიც უნდა იყოს

---

კაცებს საკაზე ჩითი, ან ფარჩა, სამკაული, ან ფულადვე, „ვისაც რა ემეტება“. პურსა, სასმელსა და ცხვრებს მნახველები მისვლისათანავე მასპინძელს ჩააბარებენ, ის-კი ყველა ამითი და აგრეთვე, თუ შინაც რამ მოეპოვება, „თავის ბეჩაობითაც“ უმასპინძლდება სტუმრებს. „მნახველები“ მივლენ სალამოთი.

მეორე დღეს ქალის მამა მოიწვევს თავის მხრითაც „ახლო მეზობლებს“, ნათესავებსა და ხევის-ბერს. ხევის-ბერი სასიძოს ოჯახისგან მიყვანილ ცხვრებს დაჰხოცავს, სანთელს მიინთებს და ახლად დანიშნულთ თავიანთ ნათესავებითა და სტუმრებითურთ ღმერთს შეავედრებს, რომ ახლად დანიშნულები გააბედნიეროს ღმერთმა, მათს ნათესავებსა და სხვა წვეულებს მუდამ სალხინო-სამშვიდობო საქმეზედ სიარული არ მოუშალოს და სხ. ამ დროს ყველა იქ მყოფი სახლის ეზოში მოიყრის თავს, დანიშნულ ქალსაც იქ გამოიყვანენ, დასვამენ და მიართმევენ საჩუქარს. საჩუქრის მიმრთმევად ამოირჩევენ ერთს კაცს, „მყეფარს“. საჩუქარს გადასცემენ ყველანი სათითაოდ მყეფარსა და ის ყველას მაგიერ ეუბნება სარძლოს შესაფერ სიტყვას. ამის გამო მყეფარად ამოარჩევენ მჭევრ-მეტყველ კაცს, რომ კარგა „შეაქოს“ და „ბოდიში მოხადოს“ საჩუქრის მიმრთმევს, მყეფარს შრომის ფასად ერგება ერთი აბაზი ფულად, ან ერთი წყვილი წინდა. დანიშნულმა ქალმა ყველას, ვინც საჩუქარს მიართმევს, თავის მხრითაც ისევ უნდა აჩუქოს თითო წყვილი წინდა. სასიძო სახლის სანახავში არავითარს მონაწილეობას არ იღებს, იმას ნება არა აქვს იქონიოს მსვლელობა სარძლოს სახლში, ვიდრე ქორწილს არ გადაიხდის და ცოლს შინ არ მიიყვანს.

ქორწილი ფშაველს სამღვთო წესად მიაჩნია. როგორც ყველა სხვა სამღრთო წესის ასრულება, ისე ქორწილის გადახდაც უხევის-ბეროდ შეუძლებელია. ხევის ბერი თუმცა ეკკლესიაში არ მისდევს ნეფე-დედოფალს, არც ჯვარის წერის წესს ან სხვას რასმე მის მსგავს წესს ასრულებს, მაგრამ თუ იმანაც ქორწილში მონაწილეობა არ მიიღო, „მექორწილეთ“ საკლავები არ დაუკლა, სანთელი არ „მოუნთო“ და ახლად შეუღლებულები არ დაამწყალობა, ღმერთს არ შეავედრა, მაშინ, ფშაველის აზრით, ხატი გაუწყრება და ახლად შეუღლებულებიც „ვერაფერს ბედს ეწევიან“. ქორწილის დროდ უფრო კვირა სალამოს ირჩევენ, თუმცა ზოგიერთი სამშაბათსა და ხუთშაბათსაც იხდის ქორწილს, მაგრამ ამ სამს დღეში კვირა დღე უმრავლესობისგან ამოირჩევა ქორწილის დროდ. ფშაველის მექორწილე ოჯახმა საქორწილოდ ბევრი ხორაგი და სასმელი უნდა დაიმზადოს, რომ ქორწილში მიწვეულ ხალხს უხვად გაუმასპინძლდეს და ამითი „ასახელოს“ თავისი ოჯახი „მტერმოყვარისა“ და ყველა წვეულის წინაშე. ამისთვის აცხობს ბლომად წმინდა პურს, ჰკლავს ერთს ძროხასა და 3—5-მდე სულს ცხვარს, ღვინოც უკანასკნელი 40 ჩაფი მაინც უნდა იყიდოს და ყველა ამით გაუმასპინძლდეს ქორწილში მიწვეულებს, რომელთა რიცხვიც ხშირად ას სულსაც გადააჭარბებს ხოლმე.

ერთის დღის წინად ქორწილამდე ვაჟის ოჯახი ჰგზავნის ქალის ოჯახში ორს ან სამს კაცს „ვაჟის მაყრებად“, ამათ თან გაატანს იმდენსავე სასმელსა, პურსა და ცხვარს, რამდენიც მიაქვს „სახლის სანახავად“ წასვლის დროს. ვაჟის მაყრების მისვლის შემდეგ ქალის მშობლები მიიწვევენ თავიანთ ნათესავებსა და მეზობლებს და გადაიხდიან ვაჟის მაყრების მიერ მიტანილის „ხარჯით“ ქალის ქორწილს. ქალს შუადღისას მოამზადებენ ეკკლესიაში წასასვლელად, ჩააცვამენ ფარჩის კაბას წითელ ფერისას, ქათიბას და გარედგან თეთრს ჩადრს, „ყადიბას“. მორთული პატარძალი ვაჟის მაყრებსა და თავის ტოლ ქალებს მიჰყავთ ეკკლესიაში, სადაც ელის ნეფე თავისის ტოლებით, ეჯიბით და მეჯვარეთი. ჯვარის წერის შემდეგ ნეფე-დედოფალსა და ყველას, ვინც ჯვარის წერის დროს დაესწრო, პატარძლის ოჯახი მიიწვევს და მცირე საუზმის მირთმევის შემდეგ გაისტუმრებს ნეფიონს ნეფის ოჯახში, სადაც მათის მისვლისთვის ქორწილი გაჩაღებულია და „ნეფიონს“ მოუთმენლად მოელიან.

ნეფიონში ვაჟის მხრით არიან „ეჯიბი“, მეჯვარე და „ვაჟის მაყრები“,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაფუძნებული ამ სასწავლებელში წერა-კითხვაში გავარჯიშებულ მოწაფეთათვის. არც დიდად საძნელოა ასეთის წიგნთ-საცავის დაარსება, რადგან, დარწმუნებული ვართ, ყოველი ქართველი წიგნის გამომცემელი და დამბეჭდველი არ დაიშურებს თითო ეგზემპლიარს ამ ფრიად სასარგებლო საქმისათვის.

## უცხოეთი

**ინგლისი.** ინგლისისათვის ერთი დიდი საჭირ-ბოროტო საქმე ირლანდიის საქმეა, ამ ბოლოს დროს თითქმის ეს ერთად-ერთი საქმე გადო ხარიხად ორ დიდს დასს შორის ინგლისში. ხარიხის ერთს მხარეს დგნენ ლიბერალები „დიდის მოხუცის“ მეთაურობით და მეორე მხარეს—კონსერვატორები. კონსერვატორების ხელშია გამგეობა ქვეყნისა აგერ ოთხი წელიწადია, მაგრამ ეს გარემოება არ უშლიდა ლიბერალებს მხნედ ემედნათ და გამწევებით ებრძოლნათ თავიანთის საწადელის შესასრულებლად. ეს საწადელი იყო დაძლევა კონსერვატორების სამინისტროსი, დათხოვნა პარლამენტისა უფრო ადრე, ვიდრე გაივლიდა ის ვადა, რა ვადითაც იგია ამორჩეული, და დანიშვნა ახალის არჩევანებისა. ახალს არჩევანებზე ლიბერალებს იმედი ჰქონდათ, გავიმარჯვებთო, შევადგენთ ჩვენს სამინისტროს, გავიმძლავრებთ წინ ჩვენს „დიდებულს მოხუცს“ და ვიდრე ეს მოხუცი ჯერ კიდევ არ მოუძლურებულა, ან სიკვდილს ხელიდამ არ გამოუცლია ჩვენთვის, ირლანდიის თვითმმართველობის საქმესაც დავამთავრებთ და, ვინ იცის, იქნება სხვა ისეთი ცვლილებანიც შემოვიღოთ ინგლისის ცხოვრებაში, რომ ქვეყანა გაჰკვირდეს ამ ცვლილებათა სიკეთითაო.

მართლაც ნიშნები გამარჯვებისა ერთი და ორი არ იყო. სამინისტრო კონსერვატორებისა ბოლოსა და ბოლოს დროს ველარაფრის გაკეთებას ვერ ახერხებდა. ყველაფერში ბედი გაუცუდდა. საკანონ-მდებლო მოღვაწეობა პარლამენტისა შეფერხდა, პარნელისა და „Times“-ის დავა სამინისტროსთვის სამარცხვინოდ გათავდა, შიგ სამინისტროშივე უთანხმოება გამოერიათ და ორმა გავლენიანმა და თითქმის ყველაზედ ნიჭიერმა მინისტრმა, ბალფურმა და გოშენმა, ერთმანეთის კინკლაობაში ამოირთვეს სული.

ამას დაუმატეთ ისიც, რომ, ირლანდს გარდა, თვით მართველობის თხოვა დაიწყო უელსმა და შოტლანდმაც; მუშათა საქმე კიდევ უფრო მწვავდა. ძველებური ამხანაგობანი მუშებისა, ესრედ წოდებული ტრედ-უნიონები, რომელთაც არაფერში არ ეტყობოდათ უმწვერვალესობა, ახლა რადიკალობის ბუდედ გადაიქცა; ბრძოლა შეძლებულთა და შეუძლებელთა შორის თანდათან უფრო გაძლიერდა. პირის შეკვრა და გაფიცვა მუშაობაზე ხელის ასაღებად, რომ მით ფულისა და წარმოების პატრონი ჩვენს პირობაზე დავიყოლიოთ, ისეთ მუშათა შორისაც გახშირდა, რომელთაც კაცებად არც-კი სთვლიდნენ წინად და რომელთა სიღატაკე ისეთი იყო და არის, რომ იმათგან ბრძოლას შეერთებით, გაფიცვით წინაამდეგ ქონებით შეძლებულობისა ვერავინ მოიფიქრებდა. ამათაც-კი მოითხოვეს, რომ რვა საათზე მეტს ნუ გვამუშავებთ დღეშიო: რვა საათი მუშაობა, რვა—ძილი და რვა—დასვენებაო.

ერთის სიტყვით, მუშების გაფიცვამ და მათ მიერ მუშაობის აკვეთამ ლამის სული შეჰხუთოს ბევრს სხვადასხვა გვარს მრეწველობასა და წარმოებას. მუშები ინგლისურის სიჯიქითა და ჭირვეულობით ითხოვენ თავისას და შემძლებელობა-კი არასა თმობს, ყურს არ უგდებს შეუძლებლობის თავ-გამოდებას, რომელსაც ახდევს დიდი გაჭირვება და საცოხობა ამ უმწვერვალესად სამრეწველო ქვეყანაში. ამ საახალწლოდ, მაგალითად, პირი შეჰკრეს ჩრდილოეთის რკინის გზების მუშებმა და ხელი აიღეს მუშაობაზე. ამით შესდგა მრავალგან მრავალგვარი წარმოება და ამით მეტად გაჭირდა საქმე. მარტო ლონდონში ამ ხანად 90,000 მუშაა უსამუშაოდ და უსაქმოდ. სტატისტიკის ჩვეულებრივის ანგარიშით გამოდის, რომ ამის მიზეზით თითქმის 35,000 მეტი სული ადამიანია ჩავარდნილი განსაცდელში ულუკმაპურობის გამო. სიკვდილი ისეა გახშირებული დიდ ქალაქებში, როგორც არც ერთხელ არ ყოფილა ამ ათს წელიწადს. სამადლო და საქველმოქმედო საზოგადოებათა კასებს ველარა გაუწყიათ-რა ამოდენა პირ-დაღებულ სიმშილის წინაშე. ზამთარი ცივი და მკაცრი სდგას და იყინება და ითოშება ხალხი უბინაობით ზედ ქუჩებსა და შარა გზებზე.

აი ამისთანა დროს არის საჭირო გულ-კეთილობით, კაცთ-მოყვარეობითა და ცოდნით სავსე, ჩაგრულთ საშველად თავ-გამოდებული, მხნე და ბრძენი სამინისტრო, ისეთის ზნე-მაღლის კაცის წინ-წაძღოლით, როგორიც არის „დიდებული მოხუცი“ გლადსტონი. მაგრამ არ იქმნა, დრო გამარჯვებისა არ დადგა ლიბერალებისათვის, თუმცა იმედი-კი დიდი იყო, დამხობა კონსერვატორების სამინისტროსი დღითი-დღე მოსალოდნელი შეიქმნა.

დღეს ეს იმედი უფრო ნაკლებ არის, ვიდრე ამ ორის თვის წინად იყო. უმთავრესი მიზეზი ამისი, სხვათა შორის, ის უსიამოვნებაა, რომელიც ჩამოვარდა ლიბერალებსა და პარნელს შორის. ამ „არ-დაგვირგვინებულს მეფეს“ ირლანდიისას, როგორც არა ერთხელ იყო მოხსენებული ჩვენს გაზეთში, შეუყვარდა კაპიტან ო'შის ცოლი. ეს ამბავი გამოაშკარავდა. კაპიტანმა გაყრა მოითხოვა. სასამართლომ გაამტყუნა პარნელი. სახელ-გატეხილის კაცის ამხანაგობა აღარ მოინდომა შეუმწიკვლელისა და მაღალის ზნეობის გლადსტონმა და ასტყდა უსიამოვნება, აყალმაყალი. ირლანდიელთ დასმა მეთაურად სხვა, სახელდობრ, მაკკარტი, ამოირჩია, პარნელმა ეს არ იყაბულა. მე დასის მეთაური-კი არა ვარ, მეთაური ვარ მთელის ირლანდიის ერისაო. მთელი ჩემი ჯანი და ღონე, ჩემი სიცოცხლე ჩემის ქვეყნის სამსახურს შევწირე და მრავალის ტანჯვა-ვაებით აქამდე მოვიყვანე ჩემი საყვარელი საქმე, რომელსაც თავს ვერ დავანებებო. ხოლო თუ დავანებებ, ისე დავანებებ, რომ იმ ჩემთვის ძვირფასს საქმეს არა ეხიფათოს-რა. გაფრთხილდით, გლადსტონი ცხადად არ ამბობს, რა ჰსურს ირლანდიისათვისაო. ჩვენი საქმე იმისთვის იმდენად არის საჭირო, რამდენადაც უფრო სწორედ და კარგად გასჭიმავს თავის მარტო ინგლისისათვის სასარგებლო პოლიტიკის ლარსაო. ეგ კაცი უფრო დიდი სოფისტია, ვიდრე დიდებული და დიდ-ბუნებოვანიო.

ამ გარემოებამ უთანხმოება დაჰბადა ახლა თვით ირლანდიელთა შორისაც. არამც თუ იმათი დასი, თვით ერიც კინაღამ ორ ბანაკად გაიყო: ერთი პარნელის მომხრენი და მეორე მოწინააღმდეგენი. აი ამან, ამ დავიდარაბამ, ამ უცბად გაჩენილმა ამბავმა შეაფერხა მეტად ლიბერალთა საქმე ინგლისში და კვლავ გააძლიერა ძალზედ მისუსტებული კონსერვატორები. დღეს დიდი ჯაფა და მეცადინეობა იხარჯება, რომ როგორმე შეარიგონ და მოათავსონ ერთმანეთში ორად გაყოფილი დასი ირლანდიელებისა. მოლაპარაკება სწარმოებს პარიჟში პარნელსა და ო'ბრიენს შორის. მათთანვე მიეჩქარება ამერიკიდამ დილლონიც.

გაზეთები ამბობენ, რომ საქმე მოლაპარაკებისა კარგად მიდისო. კეთილ-გონიერება იმარჯვებს და ასე შემთხვევით, საფათერაკოდ ჩამოვარდნილი უთანხმოება იმითი თავდება, რომ ირლანდიის დასი ორ ფრაქციად, ორ ცალკე ჯგუფად ნაწილდება. ერთი, მაკ-კარტის მეთაურობით, იქმნება მომხრე გლადსტონისა და მასთან საქმის ამღებ-დამღები და ამწონ-დამწონი, ხოლო მეორე, პარნელის მეთაურობით, შეადგენს დამოუკიდებელს ჯგუფს და იმოქმედებს თავისით, სრულიად თავისუფლად, როგორც დრო და გარემოება მოითხოვს და ჩააგონებსო.

გაზეთებმავე მოიტანეს სასიამოვნო ამბავი ერთის დიდისა და მოულოდნელის გამარჯვებისა ლიბერალების მხრით ერთს კერძო არჩევანებზე. იმ საარჩევანო თემში, სადაც ეს კერძო არჩევანები იყო დანიშნული, მუდამ გამარჯვებული რჩებოდა თურმე კონსერვატორების კანდიდატი. დღესაც ასეთს შედეგს მოელოდნენ. მაგრამ სრულიად სხვა მომხდარა, გაუმარჯვნია დიდის ხმის უმეტესობით ლიბერალების კანდიდატს. გლადსტონს უთქვამს, რომ ეგ გამარჯვება მეტად სანუგეშო ნიშანია ჩვენთვისაო. მაინც ის ერთად-ერთი ღრუბელი, რომელმაც ცოტაოდნად და ცოტას ხნობით დააბნელა ლიბერალების გამარჯვების იმედი, ახლა თითქმის გაქრა და მოისპო. პარნელის გამო მითქმა-მოთქმა ცოტაოდნად მისწყდა და, როგორც ეტყობა, საქმე კვლავ თავის ჩვეულებრივს კვალში ჩადგება.

## წვრილი ამბები

— სარდუს პიესის გამო, რომელსაც ეწოდება „კლეოპატრა“ და რომლის წარმოსადგენადაც სარა ბერნარი გაემგზავრა ამერიკაში, ერთმა ნიუ-იორკელმა არტისტმა ქალმა მალიან სამართლიანად შენიშნა, რომ ეს პიესა ოთხ მოქმედებიანი და ხუთას კოცნიანი პიესა არისო. ეს პიესა იწყება კოცნით და თავდება ისევ კოცნით. პიესის გმირნი ჰკოცნიან ერთმანეთს თმასა, შუბლსა, ლოყასა, მხარსა, ხელსა, ფეხსა და ტუჩზედ. ამ პიესაში კოცნა ჰხატავს და ასურათებს ყველაფერს. კოცნაში იხატება კმაყოფილება, ნეტარება, ტანჯვა, ვნება, იჭვი, თავაზა, ბოდიში, სინანული და შებრალება. ერთის სიტყვით, ყოველ გვარი გრძნობა, სულისა და გულის მოძრაობა ამ პიესაში გამოხატულია კოცნით. ყოველს შემთხვევაში ეს კოცნითა და ამბორებით დაწერილი პიესა, მოსალოდნელია, რომ დიდად მოეწონოს ნიუ-იორკის საზოგადოებასაო.

— გერმანიის გაზეთები ამბობენ, რომ გრაფ ტოლსტოის ახალი თხზულება, რომელშიაც ავტორი თავისს აზრსა და შეხედულებას ამბობს სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთმანეთთან დამოკიდებულებისა და კერძოდ ეკლესიის დანიშნულების გამო, გადუთარგმნიათ გერმანულად და დაუბეჭდიათო.

— ბელგიის დედოფალი სრულიად თავისუფალი არა ყოფილა ცრუმორწმუნეობისაგან. იმას იანვარი უბედურ თვედ მიაჩნია. თურმე ამ თვეს ყოველთვის შიშსა და ცახცახში ატარებს და ამაზედ თავის საფუძველიცა აქვს. იანვარში მოუკვდა ერთად-ერთი ვაჟი. ამავე თვეში მოუკვდეს სიძე. ერთის სიტყვით, რაც ხიფათი და უბედურება-კი შეხვედრია ამ დედოფალს თავის სიცოცხლეში, შეხვედრია მხოლოდ იანვრის თვეში.

— ახირებული სანაძლეო დაუდვიათ ამას წინად თავადს როგანსა და თავადს ტორლონის. სანაძლეოს ძალით როგანს ოთხის ცხენ შებმულის ეტლით უნდა ჩაერბინა ვევერთელა კიბე მონაკოსი, რისთვისაც მიიღებდა 5000 ფრანკს ტორლონისაგან. როგანმა ეს სანაძლეო მოიგო, რის გამოც გაზეთი „Figaro“ შენიშნავს, რომ ჭკუასთან მწყრალი უნდა იყოს კაცი, რომ ასეთი სანაძლეო დადოსო. ხომ ადვილად შესაძლო იყო, რომ ამ ახირებულს თავადს ეტლიც დამსხვრეოდა, ცხენებიც დაღუპულიყვნენ და თითონაც კისერი მოეტეხაო.

— ამას წინად ბერლინში თოვლი მოსულა და ეტლის ცხენებისათვის ცის ფერი სათვალეები გაუკეთებიათ, რადგანაც თოვლის ცქერა პირუტყვთა მხედველობასაც ასუსტებს თურმე.

— ლორდი ფორრინგტონი ამ ჟამად მხოლოდ შვიდის წლისაა და ინგლისის ლორდთა პალატის წევრად-კი მაინც ითვლება. მაგრამ მშობლები და

---

ხოლო ქალის მხრით ქალის ძმა, „მდადი“ და 5—10-მდე სხვა ნათესავები, ქალის მაყრები. ნეფიონმა როგორც ეკკლესიიდგან გამოსვლის დროს ჯვარის წერის შემდეგ, აგრეთვე პატარძლის ოჯახიდგან გამოსვლის დროსაც რამდენჯერმე თოფი უნდა გაისროლოს. ნეფიონი რაკი მიახლოვდება ნეფის სახლს, კიდევ რამდენჯერმე დასცლის თოფსა და ამით ატყობინებს ქორწილს თავის მიახლოვებას. ქორწილში მასპინძელს ყურის მგდებლები ჰყავს დაყენებულები, რომლებმაც თოფის ხმას ყური უნდა უგდონ და რაკი გაიგონებენ, თითონაც თოფის სროლითვე უნდა უპასუხონ. როცა ნეფიონი თავის მიახლოვებას თოფის სროლით შეატყობინებს, მასპინძელი მაშინვე შეუდგება ნეფიონის მიღების მზადებას, იმათ დასასხდომ ტახტსა და იმის უკან კედელს მოჰფარდაგავს.

ნეფიონი კარზე მისვლის დროს კიდევ რამდენჯერმე გაატყვრენს თოფს, შემდეგ ყველანი ცხენებიდგან ჩამოხდებიან და სახლის კარებთან დადგებიან, სადაც ნათესავები მიულოცავენ ნეფე-დედოფალს. აქ ნეფიონთანს ქატება ერთი დედაკაცი, „ნეფის დედა“. ნეფის დედად ირჩევენ ერთ-ერთ დედაკაცს ნეფეს ნათესავებიდგან. ნეფის დედა ხანში შესული დედაკაცი უნდა იყოს და ამასთან არც ქვრივი და უშვილო, რომ შემდეგ პატარძალსაც ესევე არ დაემართოს. ნფის დედა ახლად შეუღლებულებს მიაგებებს სახლის კარებთან თაფლიანსა და ხაფუარიანს (ხაშიანს) ჯამებს, პირველად ამოაღებინებს დედოფალს თითით ხაშსა და წაასმევინებს კარის ბჭეზედ, რომ „პურადი“ და „ლალიან-ბარაქიანი“ ხელი მიიყოლოს ოჯახში; შემდეგ ორივეს, ნეფესა და დედოფალს, შეალოკებს თითო ჯერ ცოტ-ცოტა თაფლს, რომ თაფლივით ტკბილად იცხოვრონ და დაბერდნენ. ამ წესის ასრულების დროს ნეფის დედას დიდი ქუდი ჰხურავს ტყავისა ჩიქილას გარედგან. რაკი ნეფის დედობის წესს შეასრულებს, მერე მოიხდის ქუდს და ჩამოეცლება ნეფიონს. ახლა ჯერი მიერგებათ ნეფე-დედოფლის სხვა მახლობლებს. შემდეგ მეჯვარე იღებს რგვალ ხონჩას, რომელზედაც ქორწილისთვის მომზადებული ხის ჯვარია ხმიადში ჩარჭობილი; ჯვარს სამსავე წვერზედ ვაშლები აქვს გაკეთებული და გვერდზედ მიდგმული აქვს თაფლიანი ჯამი, საიდგანაც ნეფის დედა თაფლს შეალოკებს ნეფე-დედოფალს. ეჯიბი ნეფესა და მდადი დედოფალს სამჯერ შემოატრიალებენ და შედიან სახლში. წინ მიუძღვის მეჯვარე თავისის ჯვარით, შემდეგ ნეფე-დედოფალი, მდადი, ეჯიბი, ქალის ძმა და ქალის მაყრები. ამ რიგად დამწკრივებულები სახლის ხაცეცხლურს სამჯერ მოუვლიან გარს ნელის სიარულით და სხდებიან სახლის საკაცო მხარეზედ გამართულ ტახტზედ: ზევით მეჯვარე, შემდეგ ნეფე-დედოფალი, მდადი, ქალის ძმა და მაყრები. ჯვარს მეჯვარე ამ დროს ნეფე-დედედოფალს დაუდგამს წინ ხონჩით.

საზოგადოდ მეჯვარის მოვალეობა ქორწილში ისაა, რომ ჯვარს უგდოს ყური, ის ეჭიროს ხელში და ჯვრით ხელში დაუძღოდეს წინ ნეფე-დედოფალს ორის დღის განმავლობაში. მდადის მოვალეობაა ქორწილის დროს დედოფალს გვერდს ახლდეს, ტანისამოსსა და ჩადრს უსწორებდეს, აგრეთვე ეჯიბი ნეფეს ახლავს და ამასთან თავ-და-პირველი გამგებელი და რიგის მიმცემია ქორწილისა. ფშაველის აზრით, ყოველის კეთილის საქმის მტერი და მაშასადამე ქორწილისაც ეშმაკია, რომელიც შორი ახლო ჰყვება უხილავად და სცდილობს „დანავსოს“ ნეფე დედოფალი. ამ დანავსევის ასაცილებლად ნეფე, ეჯიბი და „მეჯვარე“ შეიარაღებულები არიან ხმლებით, ხმალივე უჭერია ხელში მდადსაც. ხმალი, ფშაველის აზრით, სამღვთო საგანია, ეშმაკს ხმლისა ძალიან ეშინიან, უფრთხის და რაკი ნეფიონი ხმლებით შეიარაღებულია, ველარც შეიძლებს ახლად შეუღლებულების დანავსვას. ხმლითვეა შეიარაღებული ქალის ძმაც. როცა ნეფიონი სახლის კერას გარს უვლის, ქალის ძმა ხმალ-ამოღებული მისდევს, ხმალს სამჯერ მსუბუქად დაარტყამს საკიდელს, შემდეგ ქალის სხვა მაყრები ხანჯლებით დაუწყებენ საკიდელს ცემას, ჩამოჰგლეჯენ და მასპინძელს აღარ დაანებებენ, ვიდრე ის „სახსარს“ არ მისცემს საკიდელის დასახსნელად—ან ერთ ხელადა ღვინოს და ან ერთს ქათამს.

(შემდეგი იქნება)

გამდლები არ ანებებენ, რომ ამ სასპატიო წევრმა მონაწილეობა მიიღოს პალატის საქმეთა საბჭოში და შეასრულოს თავისი პოლიტიკური მოვალეობანი, რადგანაც შესაძლოა ისა და ლორდი აბერმალი, რომელიც ეხლა 92 წლისაა, ვერ მოუწყვნენ ერთმანეთში და რაიმე უსიამოვნება მოუხდეთო.

— ამ დღეებში ინგლისში ერთი პოლიტიკური მოღვაწე გარდაიცვალა, გვარად ბრედლო. ინგლისის საპარლამენტო წრეში ბრედლო მეტად ახირებულ და თავისებურ კაცად ითვლებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა მაღალს საზოგადოებაში დიდად პატივცემული იყო. 1880 წელს ბრედლო ამოირჩიეს პალატის წევრად, მაგრამ არ მიიღო ფიცი, რაიცა კანონით დაწესებული იყო. ამ გარემოებამ იმისი სახელი ინგლისის გარედაც გაიტანა. პალატამ დაითხოვა ბრედლო წევრობისაგან, მაგრამ ბრედლო არ დაეთხოვა პალატას და ამის გამო დატუსაღებულ იქმნა სატუსაღოში. ექვსჯერ უარ-ჰყო პალატამ ამ კაცის წევრად არჩევა, მაგრამ ამომრჩევლები, თითქოს ჯინში უდგნენ პალატასაო, მაინც ბრედლოსვე ირჩევდნენ. ბოლოს რაკი ვერაფერს გახდა პალატა, ბრედლო მიღებულ იქმნა წევრად და იმისისავე დაჟინებულის თხოვნით ფიცის მიღების წესიც შეიცვალა. ბრედლო მოკვდა არსებობისათვის ბრძოლაში. ის იყო მქადაგებელი იმ აზრისა, რომ ყოველი კაცი თავის ოფლით უნდა სცხოვრობდეს და მუშებს არაფერს ართმევდესო. 30 წლის განმავლობაში ის ამ აზრის განხორციელებას ემსახურებოდა, არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც. ბრედლო დღე და ღამეში 18 საათს მუშაობას ანდომებდა.

— ანრი გრევილის რომანის „სონა", რომლის არაკად რუსეთის ცხოვრებაა აღებული, 34 გამოცემა უკვე გაყიდულა საფრანგეთში და ეხლა მე-35-ჯერ გამოუციათ ეს რომანი.

— კომიკოსის კოკლენ უფროსისათვის უკითხავთ პარიჟში:

„— რატომაა რომ საზოგადოებას მაშინაც მალიან აცინებ, როცა სულ უბრალო და უმნიშვნელო როლებს ასრულებო?

„— ეს ძლიერ ადვილია, უთქვამს კოკლენს: ყველა სასაცილო როლის ასრულებას მეტის-მეტად დარბაისლურად ვეკიდები და ეს არის მიზეზი, რომ საზოგადოებას დიდად მოსწონვარ. ყველა, ვინც ასე მოიქცევა ამ შემთხვევაში, უეჭველია ჩემსავით დაიმსახურებს საზოგადოების მოწონებასაო.

— ქალაქს ცვიკაოში ამას წინად იქაურმა თეატრის გამგეობამ ახირებული განცხადება გააკრა. ეს განცხადება აცნობებდა საზოგადოებას, მობრძანდით წარმოდგენაზე, მაგრამ ხმა-მაღლა ნუ იყვირებთ, ნუ გაიცინებთ და ნუ... დაამთქნარებთო.

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება გვიბოძეთ გულითადი მადლობა გამოვუცხადოთ ტფილისის ფოტოგრაფს, ბ-ნს ა. ს. როინაშვილს, რომელმაც შემოსწირა ჩვენს ბიბლიოთეკას ერთის თუმნის ქართული წიგნები.

მცხეთის ბიბლიოთეკის გამგებელნი
სოფ. მცხეთა.

# დეპეშა

31 იანვარი

პეტერბურგი. გენერალი პუშჩინი, რომელიც ეხლახან დაინიშნა უმთავრეს გიდროგრაფიულ სამმართველოს უფროსად, უეცრად გარდაიცვალა.

ნადირექტორალი პეტერბურგის რეალურ სასწავლებლისა ეველდი გარდაიცვალა.

ერცჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი და დიდნი მთავარნი იაშჩურში, ვარშავის რკინის გზის ლიანდაგს ახლომახლო სანადიროდ ბრძანდებოდნენ. შემდეგ ერცჰერცოგმა ისადილა დიდ მთავარ პავლე ალექსანდრეს ძესთან.

პეტერბურგის ბირჟა, 29 იანვარი.

| | მყიდველნი | | გამყიდველნი | | გაყიდულნი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 6 | 85 | 6 | 88 | — | „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | 136³/₄ | | 137¹/₂ | | — | „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | 1 | 06 | 1 | 08 | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — | „ | — | „ | 237 | |
| —მეორისა . . . . | — | „ | — | „ | 226¹/₄ | |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი . . . . . | — | „ | — | „ | 215¹/₂ | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — | „ | — | „ | — | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევს 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

დაიბეჭდა და იყიდება
წერა-კითხვის სამართველოს წიგნთსაცავში, ქართველთა წიგნების გამომცემელ წიგნის მაღაზიაში და ზ. ჭიჭინაძის მაღაზიაში

## ანდერძი

ანტონ II საქართველოს კათოლიკოზისა, სურათით
გამოცემული
დ. ფურცელაძის მიერ
ფასი 30 კაპ.

## „წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ხალხური ზღაპრები შეკრებილი აღნიაშვილის მიერ . | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა ახალი გამოცემა . . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა. | „ | 15 |
| საქართველოს დიდი კალენდარი ვ. გუნიასი 1891 წ. | „ | 40 |
| სახალხო ჯიბის კალენდარი მისივე . . . . . . | „ | 10 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით. . . . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა შედგენილი წმიდის ალ. დიგურიასაგან . . . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა. . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . . | 1 | „ |
| ბრძენი კაცი . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგული ენისა. ყდით . . | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა. | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე. ყდით. . . . . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი დამატებით ძველი გეოგრაფიისა . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამმატიკა დამატებით გრამმატიკური და ლოღიკური ანალიზებისა . . . . . . | „ | 40 |
| ცოკლე რეტორიკა, ანუ მჭევრმეტყველება სასარგებლოდ ახალგაზრდა ყმაწვილ-კაცისა. ყდით. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ფილოსოფია, ანუ სიბრძნის მოყვარეობა, რომელიც შეიცავს ფსიხოლოღიას, ლოღიკას, ბუნებით ღვთის მეტყველებას და ზნეობას. ყდით . . | „ | 50 |
| წამება ლექსად თქმული ცხოვრება წმიდის ესტატისა. ყდით . . . . . . | „ | 60 |
| ყვავილების კონა, ანუ რჩეული ლექსები სასარგებლოდ ახალგაზრდა ყმაწვილ კაცთა. | „ | 50 |
| საქართველოს სამოთხე საბინინის ოქრო შავი სურათით . . . . . | 10 | „ |
| Книга Калилаһ и Диманаһ или сборникъ Басенъ извѣстныхъ подъ именемъ басенъ Бидпая, переводъ съ арабскаго М. О. Аттая и М. В. Рябинина, цѣна. . . | 3 | „ |
| Матеріалы для русской исторіи, С. Ал. Бѣлокурова . . . . . . | 3 | „ |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ, С. А. Бѣлокурова . . . . . . | 3 | „ |
| Поѣздка старца Арсенія Суханова въ Грузію 1637—1640 гг. . . | „ | 25 |


## რძის ფქვილი ნესტლესი ქილას 1 მან.




ძუძუ-მწოვარა ბავშვთა საზრდოებლად

უპირველესია ყველა აქამდე მოგონილ საშუალებათაგან, რომელიც-კი დედის რძის მაგიერობასა სწევს. იგი ნოყიერია, ადვილად მოსანელებელი და ყოველი ბავშვი კმაყოფილებით ეწოვება. მოწონებულია აგრეთვე ეს რძის ფქვილი საზრდოდ უფროსთათვის, თუ სუსტი კუჭი აქვსთ.

წყალ-გამოცლილი, გასქელებული რძე ნესტლესი ქილას 85 კაპ.

იყიდება ტ ფ ი ლ ი ს ს: კავკასიის საავთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ა. წურინოვთან, ა. პოპოვთან, გ. ა. პოპოვთანვე, ვ. გრივნაკთან და აგრეთვე რუსეთის იმპერიის ყველა აფთიაქებსა და საწვრილმანო მაღაზიებში.

უმთავრესი საწყობი ს.-პეტერბურგს, ყაზანის ქუჩა, № 3; მოსკოვს, პოკროვკაზე, კოზლოვის სახლებში ალექსანდრე ვენცელთან.

ერთად-ერთი აგენტი მთელის რუსეთისა Александръ Венцель

მაქვს პატივი საზოგადოებას ვაცნობო, რომ მე პასუხის-გებასა ვკისრულობ მხოლოდ იმ თუნუქის ჭურჭლისათვის, რომელსაც ლურჯი ბეჭედი აქვს და რომელზედაც ხელია მოწერილი ალექსანდრე ვენცელისა, ჩემის ერთად-ერთის აგენტისა მთელს რუსეთში.

ჰენრიხ ნესტლე, ჟენევში (შვეიცარიას).

«წერა-კითხვის საზოგადოების» წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი სახელმძღვანელონი, შედგენილნი გოგებაშვილის მიერ

**Русское Слово**, ნაწილი პირველი, გამოცემა მეორე, შესწორებული და შევსებული, მრავალი სურათით და რუსული დედანით. ფასი ექვსი შაური. ვინც ნაღდს ფულზე იყიდის არა ნაკლებ ოც-და-ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად. ყდისათვის დაემატება რვა კაპეიკი.

**Русское Слово**, ნაწილი მეორე, გამოცემა მეორე, შესწორებული და შევსებული, მრავალი სურათებით; ფასი ორი აბაზი. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოც-და-ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა 32 კაპეიკად. ყდისათვის დაემატება რვა კაპეიკი.

**Руководство** для учителей къ преподаванію по Русскому Слову". ფასი ათი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ორ აბაზად.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 | თვით . . . | 10 მ. | — კ. | 6 | თვით . . . | 6 მ. | — კ. |
| 11 | „ . . . | 9 „ | 0 „ | 5 | „ . . . | 5 „ | 25 „ |
| 10 | „ . . . | 8 „ | 5 „ | 4 | „ . . . | 4 „ | 70 „ |
| 9 | „ . . . | 8 „ | — „ | 3 | „ . . . | 3 „ | 50 „ |
| 8 | „ . . . | 7 „ | 5 „ | 2 | „ . . . | 2 „ | 50 „ |
| 7 | „ . . . | 6 „ | 0 „ | 1 | „ . . . | 1 „ | 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ ითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.


Тифлисъ, Дов. цен. 31-го Января 1891 г. Типографія Я. А. Мансвѣтова, уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.